DOI: 10.51364/26679604.jcpr.2021.v02i02.009

მერაბ კალანდაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო
merab.kalandadze@tsu.ge

დიმიტრი უზნაძე ჰანიბალზე

წინამდებარე ნაშრომი ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს, გამოარკვიოს, თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება, კართაგენის გამოჩენილი მხედართმთავრის, ჰანიბალისადმი. ეს ამ კუთხით საკითხის გაშუქების პირველი მცდელობაა.

დიმიტრი უზნაძე თავის სასკოლო სახელმძღვანელოში "ძველი რომი", ბუნებრივია, შეეხება მეორე პუნიკურ ომს და ჰანიბალის მოღვაწეობას. აი, ეს არის ის მწირი ინფორმაცია, რომელიც ჩვენს ხელთ არის. სხვა უფრო ხელშესახები მასალა არ გაგვაჩნია, ამიტომ იმას უნდა დავჯერდეთ რაც გვაქვს.

დიმიტრი უზნაძემ თავისი წვლილი შეიტანა და შეძლებისდაგვარად შეეცადა წინ წაეწია საქართველოში ჰანიბალის ცხოვრების და მოღვაწეობის სწავლება, შესწავლა, პოპულარიზაცია.

ჰანიბალისადმი დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულების მთავარ ღირსებად მიგვაჩნია: 1. დიმიტრი უზნაძე ჰანიბალის მოღვაწეობაში საკმაო ჩახედულებას ამჟღავნებს და კარგად ჩანს ინფორმირებული, რაც, პირველ ყოვლისა, ემპირიული, ფაქტობრივი მასალის ცოდნის ლოგიკური შედეგია; 2. დიმიტრი უზნაძის მიერ ჰანიბალის მოღვაწეობის დადებითი შეფასება სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს და მისაღები ჩანს. ეს ისტორიაში პიროვნების როლის გაცნობიერების გამოძახილია. ამ საკითხის პოპულარიზაციის საქმეში მისი მთავარი დამსახურება, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს.

ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ ჰანიბალის მოღვაწეობის შესწავლის საკითხში ქართული ისტორიოგრაფია სწორი, მეცნიერული გზით მიდიოდა. სწორ არჩევანს აკეთებდა, სწორ აქცენტებს სვამდა,

კარგად აცნობიერებდა ისტორიაში პიროვნების როლს. თუ არა პოლიტიკური კატაკლიზმები, ეს გზა გაგრძელდებოდა, მაგრამ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ჰანიბალის მოღვაწეობის გაშუქებამ სულ სხვა მიმართულება შეიძინა, სულ სხვა ხასიათი მიიღო, რომელიც თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინგადადგმულ ნაბიჯად ძნელია მივიჩნიოთ. ჰანიბალის როლის დადებითი შეფასება და ისტორიაში პიროვნების როლის გაცნობიერება, სრულიად საპირისპირო პრინციპებმა ჩაანაცვლა. ეს გახლავთ ჰანიბალის მოღვაწეობისადმი თავშეკავებული დამოკიდებულება, პიროვნების როლის შეუფასებლობა, ეს გახლავთ სწორი გზიდან გადახვევა.

საქმე გვაქვს საქართველოში მეორე პუნიკური ომის და მისი მთავარი გმირის, ჰანიბალის მოღვაწეობის გაშუქების პირველ მცდელობასთან, რომელიც, როგორც ჩვენ გვგონია, წარმატებულად შეიძლება მივიჩნიოთ. მას, ჩვენი ღრმა რწმენით, ღირსებები გაცილებით უფრო მეტი გააჩნია, ვიდრე ნაკლი.

საკვანძო სიტყვები: უზნაძე, ჰანიბალი, ისტორიოგრაფია

ოტალიტარულ-ბოლშევიკურ რეჟიმის ძალისხმევით, ისტორიულ მეცნიერებაში დიმიტრი უზნაძის წვლილი, დიდი ხნის განმავლობაში, ტაბუდადებულ თემას წარმოადგენდა და ფართო საზოგადოებისათვის შედარებით ნაკლებად იყო ცნობილი. ამ თემისადმი ასეთი გულგრილი დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა, შემთხვევითი არ იყო, აშკარად სცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია. ის, უწინარესად, 1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის წარმატებისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებასთან ასოცირდება. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. საბჭოთა მიდგომა იყო ძალზე პოლიტიზებული და იდეოლოგიზირებული, არანაირი მეცნიერული საფუძველი არ გააჩნდა, კიდევ უფრო მეტი, ის ანტიეროვნულია, ანტიპატრიოტულია. მინუსები აშკარად დომინირებს პლუსებზე. ამ დარგში საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის მიღწევებისადმი გულგრილი დამოკიდებულება ამის გამოძახილია.

დიმიტრი უზნაძემ თავისი წვლილი შეიტანა და შეძლებისდაგვარად შეეცადა წინ წაეწია საქართველოში მსოფლიო ისტორიის სწავლება, შესწავლა, პოპულარიზაცია. ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მის დამსახურებას ორი გარემოება განაპირობებს: ის სკოლაში ასწავლიდა მსოფლიო ისტორიას და აქტიური მონაწილეობა მიიღო 1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში გამოსული მსოფლიოს ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნის პროცესში. შესაძლოა, ეს არ იყო ბევრი, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არაა პატარა საქმე და ამაზე თვა-

ლის დახუჭვა, რამაც ფართოდ მოიკიდა ფეხი საბჭოთა წლებში, მიზანშეწონილი არ იქნებოდა. დიმიტრი უზნაძის სახით, საქმე გვაქვს მსოფლიოს ისტორიის ჩინებულ პედაგოგთან, სკოლის მასწავლებელთან, ისტორიის საუკეთესო პოპულარიზატორთან. მსოფლიოს ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორთან. ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მისი მთავარი დამსახურება, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს (კალანდაძე, 2016. 5). განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ იმ ექსტრემალურ სიტუაციაში, დროის მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად, ცაიტნოტში, მეტის გაკეთება ვეღარ მოასწრეს. ბევრი კარგი ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩათ, ბოლომდე არ იყო მიყვანილი. მსოფლიოს ისტორიის პოპულარიზაცია მეცნიერულ კვლევაში არ გადაზრდილა.

ჩვენი ღრმა რწმენით, დიმიტრი უზნაძე ამ სპეციალობას რომ გაჰყოლოდა, საქართველოში ძველი მსოფლიოს ისტორიის ჩინებული ლექტორი და ამ დარგის ერთ-ერთი კომპეტენტური სპეციალისტი იქნებოდა. ეს არ გახლავთ მარტო ლიტონი სიტყვები. ამის პერსპექტივა და პოტენციალი ნამდვილად არსებობდა, მაგრამ მან სულ სხვა გზა აირჩია, რომელიც კიდევ უფრო წარმატებული აღმოჩნდა. ის ქართული ფსიქოლოგიური სკოლის პატრიარქი გახდა. ხოლო ქართულ ისტორიოგრაფიაში მეტეორივით გაიელვა და მოასწრო თავისი კვალის დატოვება. მას არჩევანი ჰქონდა კარგს და უკეთესს შორის. მან ფსონი ამ უკანასკნელზე გააკეთა. აღმოჩნდა, რომ ეს სწორი ნაბიჯი იყო. ჩვენი აზრით, დიმიტრი უზნაძე XX საუკუნის დასაწყისის ქართულ ისტორიოგრაფიაში, პოზიტივისტური მიმართულების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლად შეიძლება მივიჩნიოთ (კალანდაძე, 2013, 113).

ჩვენ, ძირითადად, ვსწავლობთ დიმიტრი უზნაძის შეხედულებებს ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებზე. ახლა გავაფართოვეთ კვლევის არეალი და მასში ძველი მსოფლიოს ისტორიის საკითხები ჩავრთეთ. ამას აქვს მნიშვნელობა და ამ დარგში დიმიტრი უზნაძის მიერ შეტანილ წვლილზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ჩამოგვიყალიბებს. ამ კუთხით საკითხის გაშუქება საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. აღსანიშნავია, რომ დიმიტრი უზნაძის შემოქმედების ეს მხარე შეუსწავლელია და ფართო საზოგადოებისთვის გაცილებით ნაკლებადაა ცნობილი. ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, შეგვევსო ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ეს ვაკუუმი და ამ კუთხით გაგვეშუქებინა დიმიტრი უზნაძის შემოქმედება. პროფ. ბორის პორშნევის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს გახლდათ "ქალწულებრივი თემა".

***

წინამდებარე ნაშრომი, როგორც სათაურიდანაც ჩანს, ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს, გამოარკვიოს კონკრეტული საკითხი, როგორი შეიძლება ყოფილიყო დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება კართაგენის გამოჩენილი სარდლის, ჰანიბალისადმი (ქრისტესშობამდე 247 ან 246, 183 ან 182). ამ რაკურსით საკითხის გაშუქება საინტერესოა და აქტუალური. ისტორიას განასახიერებენ ადამიანები, განსაკუთრებით, დიდი ადამიანები, ინგლისელი ისტორიკოსის, არნოლდ ტოინბის თქმით, ეს "შემოქმედებითი უმცირესობა".

საქართველოში ჰანიბალის ცხოვრებით და მოღვაწეობით დაინტერესებას თავისი ტრადიცია გააჩნია და საინტერესო გზა განვლო, რომელიც სულ არ ატარებდა ისეთ სწორხაზოვან, ერთგვაროვან ხასიათს, როგორც ეს დიდი ხნის განმავლობაში ეგონათ. მან საინტერესო ფერისცვალება განიცადა. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს საკითხის პერიოდიზაციასთან. ის აშკარად სცილდება, წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილად პოლიტიკური სარჩული უძევს საფუძვლად. ასეთია რეალობა. საქართველოში ჰანიბალის ცხოვრებით და მოღვაწეობით დაინტერესება პირობით სამ პერიოდად შეიძლება დაიყოს.

ჰანიბალის ცხოვრების და მოღვაწეობის გაშუქება 1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში. მან სამეცნიერო- პოპულარული ხასიათი მიიღო და, უმთავრესად, ასახვა პოვა ძველი მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. იკვეთება ჰანიბალის მოღვაწეობით დაინტერესების კონტურები, წანამძღვრები, სიმპტომები, პირველი ნიშნები. საქართველოს სუვერენულმა რესპუბლიკამ თავისი წვლილი შეიტანა და შეძლებისდაგვარად შეეცადა წინ წაეწია ჰანიბალის მოღვაწეობის სწავლება, შესწავლა, პოპულარიზაცია. ამიტომ ამ მონაკვეთის ელიმინირება, ამოღება ამ დარგის ისტორიიდან, როგორც ეს ხდებოდა საბჭოთა წლებში, მიზანშეწონილი არ იქნება და მისი განვითარების ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავს. პირველი ნაბიჯები სწორი გადადგეს, კარგად გათვალეს. აქცენტი კეთდება თავისუფალ აზროვნებაზე, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტულ მიდგომაზე, პლურალიზმზე, პროგრესულ ლიბერალურ ღირებულებებზე. კარგად უნდა ჰქონოდათ გაცნობიერებული ისტორიაში პიროვნების როლი. ჰანიბალის მოღვაწეობისადმი დადებითი დამოკიდებულება ამის ლოგიკური დაგვირგვინებად გვევლინება. ეს იყო საკითხისადმი მეცნიერული დამოკიდებულება, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი პლუსები და მინუსები. რისი გაკეთებაც მოასწრეს, გააკეთეს, რაც ვერ მოასწრეს, გაუკეთებელი დარჩათ. ბევრი კარგი ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩათ. მისი ბოლომდე მიყვანა ვეღარ მოასწრეს. არსებობდა დიდი ალბათობა, რომ

ეს გზა გაგრძელდებოდა, მაგრამ სინამდვილეში, ეს ასე არ მოხდა. უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, ქართული ისტორიოგრაფიის განვითარება სულ სხვა გზით წარიმართა, სულ სხვა ხასიათი შეიძინა, რომელიც თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინგადადგმულ ნაბიჯად, ძნელია მივიჩნიოთ. აი, ასეთი იყო რეალობა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, ფართო საზოგადოების თვალსაწიერს მიღმა აღმოჩნდა.

2. ჰანიბალის ცხოვრების და მოღვაწეობის შესწავლა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში (1921-1991). ჰანიბალის მოღვაწეობის შესწავლამ მეცნიერული ელფერი შეიძინა ემპირიის, ფაქტოლოგიის დონეზე. პროგრესი აშკარაა და ამის უგულებელყოფა სწორი არ უნდა იყოს, მაგრამ მან ცალმხრივი ხასიათი მიიღო და ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ყალიბში აღმოჩნდა მოქცეული. ამან განაპირობა საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის თეორიული, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით გაუფერულება. მოხდა ისტორიული მეცნიერების სტალინიზაცია, უნიფიკაცია. მნიშვნელოვანწილად, სწორედ ამით აიხსნება, რომ ჰანიბალისადმი დადებითი დამოკიდებულება ჩაანაცვლა უფრო თავშეკავებულმა მიდგომამ, რომელიც ისტორიაში პიროვნების როლის შეუფასებლობის ექოდ გაისმა. ისტორიას არ ხელეწიფება ერთი ჭეშმარიტება. ეს ისტორიული მეცნიერების სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. ამ გზას ჩიხში მივყავართ. საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისის გასაღებიც სწორედ აქ ძევს. (1957, კოვალიოვი, კოროვკინი, 1970. ძველი.....1952).

საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ჰანიბალის მოღვაწეობით დაინტერესების პიკს პროფ. გრანი ქავთარიას საინტერესო სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი წარმოადგენს. მას წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია და იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად გვევლინება (ქავთარია, 1979). ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა, ნაშრომს დართული ჰქონოდა წყაროების და ისტორიოგრაფიის მოკლე მიმოხილვა. ეს საინტერესო იქნებოდა და შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა ნაშრომს, მაგრამ, ეტყობა, ნაშრომის სამეცნიერო-პოპულარული ხასიათიდან გამომდინარე, მან თავი შეიკავა ამის გაკეთებისაგან. უნდა ითქვას, რომ ამას გააჩნია თავის რეზონი, აზრი.

3. ჰანიბალის ცხოვრების და მოღვაწეობის შესწავლა პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. ის იწყება 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი და დღესაც გრძელდება. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია, პირველ ყოვლისა, ცდილობს დაძლიოს მარქსისტული სტერეოტიპები და შტამპები, უარი თქვას ისტორიაში პიროვნების როლისადმი თავშეკავებულ დამოკიდებულებაზე, რომელიც დომინირებდა საბ-

ჭოთა ისტორიოგრაფიაში, საინტერესოდ მიუდგეს ჰანიბალის მოღვაწეობას. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს სწორ გზაზე დაბრუნებას, სწორი არჩევანის გაკეთებას, სწორი აქცენტების დასმას. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ქართული ისტორიოგრაფია, ცდილობს დაუბრუნდეს და განავითაროს თავდაპირველი ღირებულებები. მოგვცეს ისტორიაში პიროვნების როლის ობიექტური ინტერპრეტაცია. ვერ ვიტყვით, თითქოს ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ მიმართულებით არაფერი კეთდებოდეს. ეს სწორი არ იქნება. პოზიტიური ძვრები ნამდვილად შეინიშნება, მაგრამ ეს ძალიან ცოტაა. გასაკეთებელი ჯერ კიდევ ძალიან ბევრია. მთელი ძალისხმევა სწორედ ამ მიმართულებით უნდა იქნას წარმართული.

***

კართაგენის გამოჩენილი სარდალი ჰანიბალი, მეორე პუნიკური ომის (ქრისტესშობამდე 218-201) ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამორჩეული და კოლორიტული ფიგურა იყო. ანტიკური ავტორები, მეორე პუნიკურ ომს, ხშირად, ჰანიბალის ომსაც უწოდებდნენ და ამას გააჩნია თავისი რეზონი, აზრი. ამიტომ ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება ვცადოთ, გამოვარკვიოთ, თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი მხედართმთავრის, ჰანიბალის მოღვაწეობისადმი. ამ კუთხით საკითხის გაშუქება საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. ეს იქნებოდა კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი დიმიტრი უზნაძის მიერ ისტორიული მეცნიერებაში შეტანილი წვლილის შესწავლის საქმეში.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი წყაროთმცოდნეობითი ბაზა საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყენება. ესაა სკოლის სახელმძღვანელო. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა. (შეიძლება ვიფიქროთ, რომ დიმიტრი უზნაძემ ამ საკითხზე იმაზე გაცილებით უფრო მეტი იცოდა, ვიდრე ეს სახელმძღვანელოს ამ პატარა მონაკვეთიდან ჩანს. ეს ამ საკითხზე მისი ცოდნის მხოლოდ ერთი ფრაგმენტია, რომლის შეტანაც სასკოლო სახელმძღვანელოში საჭიროდ ცნო. ამიტომ, მიგვაჩნია, რომ ეს სახელმძღვანელოები ამ დარგში დიმიტრი უზნაძის მდიდარ მეცნიერულ პოტენციალზე სრულყოფილ, ამომწურავ წარმოდგენას ვერ გვიყალიბებს. ის ძველ მსოფლიო ისტორიას რომ გაჰყოლოდა, დარწმუნებული ვართ, ამ დარგის ჩინებული ლექტორი და ერთ-ერთი კომპეტენტური სპეციალისტი იქნებოდა). დიმიტრი უზნაძე თავის სასკოლო სახელმძღვანელოში "ძველი რომი", ბუნებრივია, განიხილავს მეორე პუნიკურ ომს და შეეხება მის მთავარ გმირს, ჰანიბალს. სხვა, უფრო ხელშესახები მასალა, გარდა სკოლის ამ სახელმძღვანელოსა, რომელიც საშუალებას მოგვცემს ფართო მსჯელობა გავშალოთ, სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ არა გაგვაჩნია. ამიტომ სხვა გამოსავალი არ არის,

იმას უნდა დავჯერდეთ, რაც გვაქვს. თუ კარგად დაუკვირდებით, ამ მცირე ინფორმაციაში ამოვიკითხავთ იმას, თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება ჰანიბალის მოღვაწეობისადმი. მთავარი, აი, სწორედ ეს უნდა იყოს. ამიტომ ამ მასალის შეუფასებლობა მიზანშეწონილი არ იქნებოდა.

სახელმძღვანელოს ეს მონაკვეთი, პირობითად, ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს. პირველში საუბარია მეორე პუნიკურ ომზე, ჰანიბალზე, როგორ მხედართმთავარზე. მეორე ნაწილში კი მოგვითხრობს ჰანიბალის მოღვაწეობაზე მეორე პუნიკური ომის შემდეგ, აქცენტი კეთდება მის პოლიტიკურ საქმიანობაზე.

სახელმძღვანელოს ეს მონაკვეთი არ წარმოადგენს ფაქტების მშრალ თხრობას. ეს არ გახლავთ ფაქტების უბრალო გროვა. ამგვარი დამოკიდებულება საინტერესო არ იქნებოდა, მას შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია. ის ცდილობს არა მარტო მოგვითხროს წარსულზე, არამედ გაერკვეს მომხდარის მნიშვნელობაში, სცადოს მისი შეფასება. ეს მის მსჯელობას ისტორიოგრაფიულ მუხტს სძენს და საშუალებას გვაძლევს, ვცადოთ გამოვარკვიოთ, თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო მისი დამოკიდებულება ამ მოვლენის ან პიროვნებისადმი.

ამ თემაზე მისი მსჯელობის დღევანდელი გადასახედიდან განსჯა მიზანშეწონილი არ უნდა იყოს, ადვილი გზით სიარული იქნებოდა და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია. ამ მარტივ, მიამიტურ მსჯელობას წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია და ქართული საზოგადოებას, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, მოსწავლე ახალგაზრდობას კარგად დააკვალიანებდა და ჰანიბალის მოღვაწეობაზე ზოგად წარმოდგენას ჩამოუყალიბებდა. მთავარი სწორედ, აი, ეს უნდა იყოს.

მთავარია სწორი კრიტერიუმის შერჩევა. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს და დაგვეხმარება ამ საკითხში დიმიტრი უზნაძის მიერ შეტანილი წვლილის ადეკვატურად განსაზღვრაში. აქ მკაცრი მეცნიერული კრიტერიუმი საზომად არ გამოდგება. ასეთ მაღალ ამოცანებს დიმიტრი უზნაძე არ ისახავდა. საქმე ეხება სკოლის სახელმძღვანელოს. მას გაცილებით უფრო მოკრძალებული მიზანი ჰქონდა და წმინდა შემეცნებით დატვირთვა გააჩნია. ამ კულტურტრეგერულ მისიას, შეიძლება ითქვას, რომ მან ურიგოდ როდი გაართვა თავი, ეს მისი წარმატება იყო. მან თავისი წვლილი შეიტანა და შეეცადა, შეძლებისდაგვარად წინ წაეწია საქართველოში ჰანიბალის ცხოვრების და მოღვაწეობის სწავლების, შესწავლის, პოპულარიზაციის საქმე. ამ საკითხში მისი დამსახურება, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს.

უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, საქართველოში ჰანიბალის მოღვაწეობის გაშუქების საერთო სურათი და პერიოდიზაცია გამრუდებული იქნა. ფაქტების საწინააღმდეგოდ გვიმტკიცებდნენ, რომ საქართველოს გასაბჭოებამდე

ამ საკითხზე სერიოზული არაფერი იწერებოდა. სინამდვილეში, ეს ასე არ ყოფილა. ჰანიბალის ცხოვრების და მოღვაწეობის გაშუქების პირველი კონტურები იკვეთება არა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც ამას დიდი ხნის განმავლობაში გვიმტკიცებდნენ, არამედ გაცილებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში, საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში. იმ წლებში გამოსული ძველი მსოფლიოს ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. ჰანიბალის მოღვაწეობის გაშუქებამ სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შეიძინა და ძირითადად ასახვა პოვა იმ წლებში გამოსულ ძველი მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. აი, ასეთია სინამდვილე, რომელსაც საბჭოთა პერიოდში საგულდაგულოდ უვლიდნენ გვერდს. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. ეს მხოლოდ ამ დიდი საქმის დასაწყისი იყო. უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, საქართველოს ისტორიის "პატარა ოქროს ხანა" საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა. მნიშვნელოვანწილად, სწორედ ამით აიხსნება, რომ მრავალი კარგი ჩანაფიქრის, მათ შორის, ცხადია, ამ საქმის ბოლომდე მიყვანა, ვერ მოხერხდა. დაწყებული საქმე პირველ ნაბიჯებს არ გაშორებია და გაგრძელება არ მოჰყოლია.

ჰანიბალზე დიმიტრი უზნაძის მსჯელობას ორი მხარე გააჩნია, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ ზოგადი, ანუ თეორიული მხარე და კონკრეტული ემპირიული, ფაქტოლოგიური, საკითხები. აქ, ბუნებრივია, წამოიჭრება ორი პრობლემა, რომლის გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა აქვს და ამ საქმეში დიმიტრი უზნაძის მიერ შეტენილ წვლილზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ჩამოგვიყალიბებდა. როგორ აფასებდა ის ჰანიბალის ცხოვრებასა მოღვაწეობას და რამდენად ჩახედულებას ამჟღავნებდა მის საქმიანობაში.

აღნიშნულ საკითხზე დიმიტრი უზნაძის მსჯელობის მთავარ ღირსებად მიგვაჩნია:

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ დიმიტრი უზნაძე ჰანიბალის მოღვაწეობაზე საკმაოდ მაღალი აზრის უნდა ჩანდეს და მას დადებითად აფასებდა. ამგვარი დამოკიდებულება, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და მისი მიზეზები უწინარესად, მის მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ. ეს ისტორიაში პიროვნების როლის მეცნიერული შეფასების ექოდ გაისმა.

დიმიტრი უზნაძე მოკლედ მოგვითხრობს ჰანიბალის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე და ამ საკითხზე საკმაოდ ინფორმირებული უნდა იყოს, რაც ფაქტობრივი მასალის ცოდნის ლოგიკურ შედეგად გვევლინება. სწორი მეთოდოლოგიური მიდგომა და ემპირიული, ფაქტობრივი, მასალის კარგი ცოდნა, ჩვენი აზრით, ამ თემაზე დიმიტრი უზნაძის მსჯელობის მთავარ პლუსად შეიძლება მივიჩნიოთ.

წყაროების ცოდნა ამ თემაზე დიმიტრი უზნაძის მსჯელობის კიდევ ერთი ღირსებაა, რომელიც მხედველობიდან არ უნდა გამოგვეპაროს. ერთ-ერთი მათგანი, ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, როგორც კონტექსტიდან ჩანს, ტიტუს ლივიუსის თხზულება შეიძლება ყოფილიყო.

ახლა ალბათ დადგა დრო, მთავარ საკითხზე გადავიდეთ. როგორ აშუქებდა დიმიტრი უზნაძე თავის სახელმძღვანელოში მეორე პუნიკურ ომს და ჰანიბალის მოღვაწეობას? (უზნაძე, 1920. 34-39).

ალბათ, არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ მისი თხრობის ცენტრში დგას კართაგენის სარდლის, ჰანიბალის, კოლორიტული ფიგურა. ფრიად სიმპტომატურად მიგვაჩნია, რომ მთელი მეორე პუნიკური ომის ისტორია, ფაქტობრივად, ჰანიბალის ბიოგრაფიის თხრობას წარმოადგენს. მას ძალიან კარგად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული ის დიდი როლი, რომელიც შეასრულა ჰანიბალმა ამ ომში. ის კვალში მიჰყვება ანტიკურ ტრადიციას და მეორე პუნიკურ ომს განიხილავს, როგორც ჰანიბალის ომს. ამას გააჩნია თავისი რეზონი, აზრი. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება და მასში ისტორიაში პიროვნების როლის გაცნობიერების გამოძახილს ვხედავთ.

პირველ ყოვლისა, ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი, რა ესახებოდა, დიმიტრი უზნაძეს მეორე პუნიკური ომის დაწყების მიზეზად? საკითხი არის საინტერესო და აქტუალური. ის ამას უკავშირდება ქრ-შმდე 218 წელს კართაგენის მიერ ბერძნული ახალშენის საგუნტის ხელში ჩაგდებას. ეს იყო სწორი მიდგომა (ტიტუს ლივიუსი 1981. 4-19; წერეთელი, 1957, 156-157. ქავთარაძე, 1979. 28-30, ქავთარია, 2016. 178-180). "როდესაც კართაგენმა შინაურ უთანხმოებას ბოლო მოუღო, მან დანაკარგის (სიცილის) ანაზღაურებაზე დაიწყო ფიქრი. ჰამილკარ ბარკა, რომელიც ჯერ სიცილის ომის დროს და შემდეგ შინაური აჯანყების ჩასახშობად თავის სამშობლოს დიდი სამსახური გაუწია, სარდლად აირჩიეს. მან თავის სამოქმედო ასპარეზად ისპანია აირჩია, რომელიც ნაწილობრივ კართაგენის ხელში იყო და სულ ცოტა ხნის განმავლობაში, მთელი კუნძული მდინარე ებრომდე, ახალმა სარდალმა ხელში ჩაიგდო. ჰამილკარის სიკვდილის შემდეგ კართაგენთა წარმატება მისი მოადგილის (ჰასდურბალის) ხელმძღვანელობით ვითარდებოდა, რომელიც იქ ვერცხლის მადნით მდიდარ ნაწილში ახალშენი "ახალი კართაგენი" დააარსა. რომაელებს ამ დროს კართაგენისთვის არ ეცალათ და იძულებული შეიქმნენ იმით დაკმაყოფილებულიყვნენ, რომ ებროს გადაღმა მდებარე მიწებისათვის და აგრეთვე რომის მფარველობის ქვეშ მყოფი ბერძენთა ახალშენის საგუნტისათვის ხელის ხლება აეკრძალათ. სანამ კართაგენთა ჯარის მთავარსარდლად ჰასდრუბალი ითვლებოდა, იგინი რომის მოთხოვნას პირნათლად ასრულებდნენ, მაგრამ როგორც კი მათ ჯარს სათავეში ჰამილკარის შვილი, ნიჭიერი და გამოცდილი

მეომარი, ჰანიბალი მოექცა (იგი რომაელებისადმი უსაზღვრო ზიზღით იყო გაჟღენთილი), ცხადი შეიქმნა, რომ რომაელებთან ომი აუცილებელი იყო. ჰანიბალმა იმით დაიწყო, რომ რომის მფარველობის ქვეშ მყოფ საგუნტს თავს დაესხა და რვა თვის მძიმე ალყის შემდეგ დაიმორჩილა. რომაელმა კართაგენის სარდლის (ე. ი. ჰანიბალის _ მ. კ.) გაცემა და საგუნტის ზარალის აღდგენა მოითხოვეს და როდესაც ამ მოთხოვნებზე უარი მიიღეს, საომარი მოქმედება დაიწყეს" (უზნაძე, 1920. 34-35).

ყურადღებას მივაპყრობთ ორ გარემოებას: ა) როგორც ჩანს, საგუნტის ინციდენტი დიმიტრი უზნაძეს უფრო მეორე პუნიკური ომის დაწყების მიზეზად შეიძლება ესახებოდეს და არა საბაბად. ამგვარი მიდგომა საკამათო შეიძლება იყოს. სინამდვილეში, ეს საბაბი უფრო უნდა ჩანდეს (ქავთარია, 1979, 28, გ. ქავთარია, 2016. 178). ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა, რომ მეორე პუნიკური ომის მიზეზს და საბაბს შორის კავშირი გაცილებით უფრო გამჭვირვალე ყოფილიყო. ბ) სასურველი იქნებოდა, მითითებული ყოფილიყო საგუნტის დაცემის თარიღი. ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და თარიღის დასახელება, როგორც ჩვენ გვგონია, ალბათ, ურიგო არ იქნებოდა. ეს მოხდა ქრ-შობამდე 218 წელს, ხომ არ აჯობებდა ჰამილკარის გარდაცვალების თარიღის დასახელება? ეს კართაგენის პოლიტიკის მნიშვნელოვანი მომენტი იყო და ისტორიული დატვირთვა გააჩნია. აქვე დავძენთ, რომ ჰანიბალის მამის, ჰამილკარ ბარკასადმი დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება, დიდი ალბათობით, დადებითი შეიძლება ყოფილიყო.

ვფიქრობთ, კიდევ უფრო გამჭვირვალე უნდა ყოფილიყო ჰანიბალის დაწინაურების მიზეზები. იგი ჰასდრუბალის ტრაგიკულ დაღუპვასთან ასოცირდება. ის მისი მეომრების თვალწინ მოკლა ერთმა იბერმა, რომელმაც ყველანაირ სასტიკ წამებას ვაჟკაცურად გაუძლო. კატეგორიული უარი განაცხადა დაესახელებინა თანამოაზრეები და ვაჟკაცურად აღესრულა. ეს მოხდა ქრის-შობამდე 221 წელს (ტიტუს ლივიუსი, 1981. 5. წერეთელი, 1957, 156. ქავთარია 1979 24. ქავთარია 2016. 178). ეს ფაქტი საინტერესოა, შინაარსობრივად გაამდიდრებდა სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთს და მხოლოდ მომგებიან ქულებს შესძენდა. ვფიქრობთ, ის დააინტერესებდა მოსწავლეებს. მას თან ახლდა რაღაც რომანტიკული შარმი.

ჰანიბალის მოღვაწეობის სუსტი მხარეები, რომელზეც საუბრობენ ანტიკური ავტორები, ნებსით თუ უნებლიეთ ჩრდილში აღმოჩნდა. ეს ადვილი გასაგებია და ჰანიბალისადმი კეთილგანწყობილებით უნდა ყოფილიყო განპირობებული. მიუხედავად ჰანიბალისადმი სიმპათიისა, დიმიტრი უზნაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის კართაგენის მთავარსარდლის აპოლოგეტად ძნელი იქნებოდა მივიჩნიოთ. ეს მონაკვეთი არ წარმოადგენს ჰანიბალის პანეგერიკს. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. მოვუსმინოთ დიმიტრი უზნაძეს, აი, რას წე-

რდა იგი: “მეორე პუნიური ომის მსვლელობა ჰანიბალის სახელთან არის მჭიდროდ დაკავშირებული. მამამისმა ჰამილკარმა, თავისი ვაჟი, ჰანიბალი, ისპანიაში წაიყვანა და მთელი სიმძიმე საომარი ცხოვრებისა მასთან ერთად გადაიტანა. პანიბალი ომის ატმოსფეროში გაიზარდა და ძალაუნებურად ყველა ეს თვისება შეიძინა, რომელიც ომის მსვლელობაში ჩნდება და მტკიცდება. მისთვის უძილო ღამეები და მშიერი დღეები არაფერს წარმოადგენდა, ვერაგობა და გაუტანლობა, განსაკუთრებით მტრის მიმართ, მის მეორე ბუნებად გადაიქცა. ამის მიუხედავად, იგი მაინც საკმაოდ განათლებული იყო და სახელმწიფო ქაღალდებს ბერძნულ ენაზე წერდა. ამავე დროს, ხასიათის სიმტკიცე ზედმეტ საშუალებას აძლევდა ამას, თავისი ეროვნულად ჭრელი შემადგენლობის ჯარი სავსებით დაემორჩილებინა და თავისი ნების ბრმა აღმასრულებლად გადაექცია. ჰანიბალი, ამავე დროს, ნათელი გონების ადამიანი იყო, რომელსაც ძალა შესწევდა მტრის სუსტი მხარეების აღმოჩენის და ამ უკანასკნელის თავისი მიზნების მიხედვით გამოყენების. ჰანიბალის სახით რომს უდიდესი მოწინააღმდეგე გაუჩნდა და მის წინააღმდეგ განსაკუთრებული სიფრთხილე მართებდა” (უზნაძე, 1920. 35). ამ შემთხვევაში დიმიტრი უზნაძე ცამდის მართალია.

სახელმძღვანელოს ეს მონაკვეთი ამ საკითხში ქართული ტერმინოლოგიის დადგენის პირველ მცდელობად გვევლინება. როგორც პირველი მცდელობა, ის, ბუნებრივია, უნაკლო ვერ იქნებოდა. დიმიტრი უზნაძე გვთავაზობს ტერმინს “პუნიკური ომები”. შემდგომ პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში კი დამკვიდრდა ტერმინი “პუნიკური ომი”.

დიმიტრი უზნაძემ ხაზი გაუსვა, რომ ჰანიბალის მოქმედება არ ატარებდა სპონტანურ სტიქიურ ხასიათს და ის მოქმედებდა კარგად შემუშავებული გეგმის მიხედვით. ავტორის მიგვანიშნებს ჰანიბალის კიდევ ერთ დადებით თვისებაზე, ის არ იყო მარტო დიდი მხედართმთავარი, ამავე დროს ის გახლავთ კარგი დიპლომატი. ეს ორი თვისება მასში კარგად იყო შერწყმული. რაც მას რომაელებისათვის ორმაგად საშიშ ძალად აქცევდა. “ჰანიბალმა ომი წინასწარ განსაზღვრული გეგმის მიხედვით დაიწყო. მან იცოდა, რომ რომის დაძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო, თუ მას მდგომარეობას გაურთულებდა, ამიტომ მან, უწინარეს ყოვლისა, რომისადმი მტრულად განწყობილ გალებთან გამართა მოლაპარაკება, და თავის მხარეზე გადმოიბირა. ამგვარად, ჩრდილოეთ იტალიის მხარდაჭერა მისთვის უზრუნველყოფილი იყო. საშუალო იტალიაში რომის მოკავშირეთა ამბოხის იმედი ჰქონდა და ამასთან, ილირიის საქმეების გამო რომთან გადამტერებულ მაკედონიის მეფესთან შეთანხმება მოაწყო. ამავე დროს კართაგენის ფლოტს იტალიის ნაპირებზე თავდასხმით ხალხი შიშში უნდა ჰყოლოდა. ამგვარად, ომის ასპარეზად არა ისპანია ან სიცილია უნდა ყოფილიყო, არამედ იტალიის

ნიადაგზე უნდა გადატანილიყო" (უზნაძე 1920. გვ. 35-36).

ცხადია, გულხელდაკრეფილი არც რომი ყოფილა. ის ცდილობდა კონტრზომები მიეღო. მას თავისი გეგმა გააჩნდა. "რომაელები სულ სხვაგვარად ფიქრობდნენ. ამიტომ მათ ერთი კონსული ისპანიაში გააგზავნეს, ხოლო მეორე სიცილიაში. სანამ პირველი კონსული ჩაასწრებდა, ჰანიბალმა უკვე გადმოლახა პირინეის მთები და ჩრდილოეთ იტალიაში გაჩნდა, სადაც გალებმა მყის აჯანყების დროშა ააფრიალეს. ჰანიბალმა ამასობაში ალპებიც გადაიარა და მტერს ჯერ ტიჩინოსთან და შემდეგ ტრებიასთან დაეჯახა. ორივე ბრძოლა რომაელთა სასტიკი დამარცხებით დამთავრდა (უზნაძე, 1920. 36). სასურველი იქნებოდა აღნიშნული ყოფილიყო, რომ ტიცინიუსის და არა ტოჩინოსთან, როგორც ამას დიმიტრი უზნაძე წერს, ბრძოლაში თავში დაიჭრა რომაელთა სარდალი სციპიონი და ის სიკვდილისაგან იხსნა მისმა 17 წლის ვაჟმა, კორნელიუს სციპიონმა, რომელსაც შემდგომში "აფრიკელი" უწოდეს (ტიტუს ლივიუსი, 1981, 43. წერეთელი, 1957, 158. ქავთარია, 1979. 48. ქავთარია, 2016. 187). ეს ძალიან წაადგებოდა ამ მონაკვეთს და შინაარსობრივად გაამდიდრებდა მას. ამას შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა, ვფიქრობთ, მოწაფეები ინტერესით აღიქვამდნენ მას. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, თითქოს დიმიტრი უზნაძემ ეს ფაქტი არ იცოდა. ცხადია, ეს ასე არაა. რატომ აუარა გვერდი მას, ძნელი სათქმელია. ეტყობა, ის წვრილმანად მიიჩნია და სახელმძღვანელოში შეტანისაგან თავი შეიკავა. სასურველი ხომ არ იქნებოდა, მითითებული ყოფილიყო ტაცინიუსთან და ტრებიასთან ბრძოლის თარიღები? ეს ხომ იტალიაში ჰანიბალის პირველი წარმატებები იყო. ამას შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა. ეს მოხდა ქრ-შობამდე 218 წელს.

ჰანიბალმა გეზი შუა იტალიისაკენ აიღო. "ჰანიბალს ადვილად შეეძლო რომაელთა ცოცხალი ნაშთების სრული განადგურება, რომელთაც ჩრდილოეთ სიმაგრეებს შეაფარეს თავი (კრემონი), მაგრამ მას საშუალო იტალიისაკენ მიეჩქარებოდა, სადაც მოკავშირეთა მიერ რომის წინააღმდეგ აჯანყების მოწყობა უნდოდა. ამიტომაც, იგი იქითკენ წავიდა. ჰანიბალმა 2017 წელს კონსულის ჯარს, რომელსაც სამხრეთით მიმავალი გზები ჰქონდა დაკავებული, გვერდი აუარა და მხოლოდ ტრაზუმენის ტბასთან გაუმართა ბრძოლა. რომაელები სასტიკად დამარცხდნენ. ჰანიბალს ახლა რომზე ალყის შემორტყმა შეეძლო, მაგრამ მას სამნიუმი და კამპანია უფრო აინტერესებდა, ამიტომ რომი განზე დატოვა. მოხდა ის, რომ მდიდარი კაპუა რომს არ გადაუდგა და ეს იყო მიზეზი, რომ იმ წლის განმავლობაში (იგულისხმება 2017 წელი _ მ. კ.) ჰანიბალი იძულებული გახდა რომის დიქტატორთან, ფაბიუს მაქსიმუს "კუნკტატორნთან" (ნელი) უნაყოფო მცირე შეტაკებებით შემოფარგლულიყო. ზამთარი მან მდიდარი აპულეაში გაატარა, სადაც თავისი ჯარი რომაელთა სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნა. ამას ხელი შეუწყო ურიცხვმა იარაღმა,

რომელიც მან ბრძოლების დროს ხელში ჩაიგდო" (უზნაძე, 1920. 36).

აქ წამოიჭრება ორი საკითხი: რა ადგილი აქვს დათმობილი სახელმძღვანელოში კვინტუს ფაბიუს მაქსიმეს როლს მეორე პუნიკურ ომში და როგორ შეიძლება ყოფილიყო დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება მის მოღვაწეობისადმი. ამ რაკურსით საკითხის გაშუქება, ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება. ჩვენ ვცადეთ გამოგვერკვია ეს საკითხი.

აი, ეს არის სულ, რაც სახელმძღვანელოში ნათქვამია კვინტუს ფაბიუს მაქსიმეზე. რა თქმა უნდა, ეს ძალიან ცოტაა და მეორე პუნიკურ ომში მის როლზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ გვიქმნის. მეორე პანიკურ ომში ჰანიბალის და პუბლიუს კორნელიუს სციპიონის შემდეგ, ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული ფიგურა სწორედ ის უნდა ჩანდეს. მის სახელთან ასოცირდებოდა ჰანიბალის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური ტაქტიკა. ის ითვალისწინებდა გენერალურ ბრძოლაზე უარის თქმას და აქცენტს აკეთებდა წვრილ-წვრილ შეტაკებებზე. ეს გზა მაინცდამაინც პოპულარულობით არ სარგებლობდა, მაგრამ როგორც ისტორიკოსები აღნიშნავენ, მოცემულ მომენტში მოქმედების ყველაზე უფრო გონივრული გეგმა იყო (ნებსით თუ უნებლიეთ მახსენდება ბარკლაი დე ტოლი 1812 წლის ომის დროს). დიმიტრი უზნაძე ფაბიუს კვინტუს მაქსიმეს მოღვაწეობას დადებითად თუ უარყოფითად უყურებდა. რაღაც მინიშნებები ამაზე თითქოს იკითხება, მაგრამ ეს ძალიან ცოტაა. ჩრდილი უფრო მეტია, ვიდრე შუქი, ყველაფერ ამას იმ აზრამდე მივყავართ, რომ დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება ფაბიუს კვინტუს მაქსიმესადმი ინდიფერენტული ხომ არ იქნებოდა?

სახელმძღვანელოში კვანტუს ფაბიუს მაქსიმეს როლის გაშუქებამ გარკვეული უკმარისობის გრძნობა დაგვიტოვა და, ჩვენი აზრით, ამ თემაზე დიმიტრი უზნაძის მსჯელობის აქილევსის ქუსლად შეიძლება მივიჩნიოთ. ძნელი სათქმელია, თითქოსდა ეს შეტაკებები "უნაყოფო" იყო (უზნაძე, 1920, 36).

აქ უნდა შევეხოთ ერთ, ჩვენი აზრით, პრინციპულ საკითხს, რომელსაც სასკოლო სახელმძღვანელოსათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია და მოსწავლეების მიერ ემპირიული მასალის ათვისებასთან ასოცირდება. რა დოზით შეიძლება მივაწოდოთ სკოლის მოსწავლეს ფაქტობრივი მასალა? საკითხი არის სადისკუსიო და ფრიად აქტუალური იყო არა თუ მაშინ, XX საუკუნის დასაწყისში, არამედ დღესაც. ამიტომ ამ საკითხისადმი დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულების გაშიფვრა, ვფიქრობთ, საინტერესო იქნებოდა. ჩვენ ეს საკითხი ასე გვესახება: სავსებით ვეთანხმებით დიმიტრი უზნაძეს, როდესაც მას სკოლის სახელმძღვანელოს ფაქტობრივი მასალით გადატვირთვა მიზანშეწონილად არ ესახება. ეს იყო სწორი მიდგომა, რაც ამ თემაზე მისი შეხედულების პლუსია. მან სცადა სკოლის სახელმძღვანელოს ემპირიული ფაქტო-

ბრივი მასალისაგან განტვირთვა, ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ სულ სხვა უკიდურესობაში აღმოჩნდა და, ჩვენი აზრით, შეიძლება ცოტა ზედმეტი მოუვიდა. ის ეხება მთელ რიგ მნიშვნელოვან მოვლენებს, მაგრამ რატომღაც თარიღის მითითებისაგან თავს იკავებს, რაც, როგორც ჩვენ გვგონია, სწორი არ უნდა იყოს. ამგვარი მიდგომა, რა თქმა უნდა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა. ვფიქრობთ, აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. ის ამ საკითხის გადაწყვეტის ოპტიმალური ვარიანტის მოძიების პროცესში იმყოფებოდა.

ჰანიბალის მოღვაწეობის პიკს, მისი სამხედრო წარმატებების მწვერვალს, რა თქმა უნდა, წარმოადგენს კანესთან ბრძოლა, რომელიც მოხდა ქრ-შმდე 216 წელს. ეს ჰანიბალისათვის იგივეა, რაც ალექსანდრე მაკედონელისათვის გავგამელასთან ბრძოლა (ქრ-შ-ბამდე 331 წელს), ნაპოლეონისათვის აუსტერლიცთან ბრძოლა (1805 წლის 2 დეკემბერი). კანესთან ბრძოლას სამხედრო ისტორიკოსები სავსებით სამართლიანად მიიჩნევენ სამხედრო ხელოვნების კლასიკად. ამ ბრძოლიდან დიდი ხნის გასვლის შემდეგაც, მის განხილვას საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობენ (Шлиффен, 1938, 11-15. Дельбрук, 1936).

თავის სახელმძღვანელოში "რომის ისტორია" დიმიტრი უზნაძე, რა თქმა უნდა, ჩერდება კანესთან ბრძოლაზე და მოკლედ, ლაკონიურად მოგვითხრობს მასზე, თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ ის მიუთითებს კანესთან ბრძოლის თარიღს. ის მოხდა ქრ-შობამდე 216 წელს. საუბრობს მის შედეგზე. "რომაელებმა უკანასკნელი ძალა იხმარეს და გადამწყვეტი ბრძოლისათვის მოემზადნენ, რომელიც 216 წელს კანასთან (აპულეაში) მოხდა. მიუხედავად რომაელთა რიცხობრივი უპირატესობისა, ბრძოლა მათი დამარცხებით დასრულდა. შედეგად, სამხრეთ იტალიის მოკავშირეები რომს ჩამოსცილდნენ (სხვათა შორის, კაპუაც) და ჰანიბალს შეუერთდნენ. მათ მაკედონიის მეფე (ფილიპე V) და ბოლოს, სირაკუზიც დაემატა. ყველაფერი ისეთ სახეს იღებდა, რომ რომის დასასრული უეჭველი, ხდებოდა" (უზნაძე, 1920. 36-37).

ალბათ, სასურველი იქნებოდა, სულ ორიოდე სიტყვით, ფაქტის კონსტატაციის დონეზე, თქმულიყო, თუ რატომ შეიკავა თავი ჰანიბალმა, კანესთან ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ, რომზე გალაშქრებისაგან. საკითხი არის საინტერესო. ცნობილი ისტორიკოსი პლუტარქე გაოცებული იყო ჰანიბალის მოქმედებით. ფიქრობენ, რომ ჰანიბალის უმოქმედობამ იხსნა რომი სრული კატასტროფისაგან (ქავთარია. 1979. 74). ჰანიბალის საქციელით იმედგაცრუებულ მაჰარბალს უთქვამს: "ღმერთები ერთ ადამიანს ყველაფრით როდი აჯილდოებენ, შენ ჰარბალ, ოცი გამარჯვების მოპოვება, მაგრამ გამარჯვებით სარგებლობა ძალგიძს" (ტიტუს ლივიუსი, 1981. 91). ამას გააჩნია რაღაც რომანტიკული შარმი, შინაარსობრივად ამას გაა-

ჩნია რაღაც რომანტიკული შარმი, შინაარსობრივად, კიდევ უფრო გაამდიდრებდა ამ მონაკვეთს და მოწაფეების ყურადღებას მიიპყრობდა.

კანესთან ბრძოლის შემდეგ მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა, რომაულ დიპლომატიას დიდი ძალისხმევა და შორსმჭვრეტელობის გამოჩენა დასჭირდა, რათა მდგომარეობა თანდათან გამოესწორებინა. რომი კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. "215 წელს რომაელებს ხელახლა ბედმა გაუღიმა. თვით იტალიაში ახალგაზრდა კონსული პ. სციპიონი აპულიის მოკავშირეთა შემოერთების საქმეს წარმატებით ახორციელებდა და, აი, სიცილიაში, რომელიც სირაკუზის გადადგომის შემდეგ რომს სავსებით ხელიდან გაუსხლტა, საქმე შემოტრიალდა. 2014 წელს სირაკუზი აიღეს და 210 წელს მთელი კუნძული რომაელთა ხელში გადავიდა. საბერძნეთში, სადაც რომის წინააღმდეგ მაკედონიის მეფე მოქმედებდა, საქმე 205 წელს დასრულდა, ძველი შენაძენი იქ ხელახლა რომაელთა ხელში დარჩა, ხოლო მაკედონიის მეფე ჰანიბალს ჩამოშორდა. ისპანია, რომელიც ჰანიბალის ძლიერების მკვებავ ძარღვს წარმოადგენდა, რომის საქმე პირველ ხანებში უკუღმა მიმდინარეობდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც აქ მთავარსარდლობა ახალგაზრდა პ. კორნელიუს სციპიონის ხელში გადავიდა, რომელთა საქმე გამობრუნდა და 206 წლისთვის მთელი ნახევარკუნძული კართაგენელთაგან გაწმინდეს" (უზნაძე. 1920. 37).

ყურადღებას მივაპყრობთ რამდენიმე გარემოებაზე. დავიწყოთ იმით, რომ აქ დიმიტრი უზნაძე ამჟღავნებს ფაქტობრივ მასალაში ჩახედულებას და რაც მთავარია, უთითებს მას. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და მისი ამ მსჯელობის პლუსად გვევლინება. ახლა ამ საკითხს ცოტა სხვა კუთხით შევხედოთ. თუ დიმიტრი უზნაძეს სურდა სახელმძღვანელოს ფაქტებისაგან განტვირთვა და ეს მას ნამდვილად უნდოდა და ჩვენ ამაში მას სავსებით ვუჭერთ მხარს, მაშინ, ჩვენი აზრით, ხომ არა აჯობებდა ამის გაკეთება ამ ფაქტების ხარჯზე და არა ჰანიბალის პირველი ტრიუმფალური წარმატებების ფონზე? სახელმძღვანელოს ფაქტობრივი მასალისაგან განტვირთვის საკითხში დიმიტრი უზნაძის პოზიცია წინააღმდეგობრივად გვეჩვენება, უკმარისობის გრძნობა დაგვიტოვა და შესატყვისობის სურვილი გაგვიჩინა. დიმიტრი უზნაძე ეხება სირაკუზის დაცემას და მიუთითებს მის თარიღს. სასურველი იქნებოდა აღნიშნულიყო, რომ სირაკუზის დაცვაში აქტიურად იყო ჩაბმული, ცნობილი მათემატიკოსი, არქიმედე (ტიტუს ლივიუსი, 1981. 146-147). ამას შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა და შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა მის თხრობას. ვფიქრობთ, ეს მოსწავლეებისათვის საინტერესო იქნებოდა. რა თქმა უნდა, შორს ვართ იმ აზრისაგან თითქოს დიმიტრი უზნაძემ არ იცოდა ეს ფაქტი. ეს სწორი არ იქნებოდა, მაგრამ რატომ აუარა მან მას გვერდი, ძნელი სათქმელია. ამიტომ ასეთი გა-

დაწყვეტილება ცოტა უცნაურად გვეჩვენება და სახელმძღვანელოს ფაქტობრივი მასალით განტვირთვასთან ხომ არ ასოცირდება? თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ დიმიტრი უზნაძის ეს ნაბიჯი, ჩვენი აზრით, საკამათო შეიძლება იყოს.

დრო რომაელების სასარგებლოდ მუშაობდა. ამას ჰანიბალი კარგად აცნობიერებდა. ის მოკავშირეებს ეძებდა და დახმარებას ითხოვდა. "იტალიაში, მიუხედავად იმისა, რომ კანეს გამარჯვების შემდეგ ჰანიბალის დაპირებული დახმარება არსაიდან არ მოსდიოდა, მან მაინც შეძლო ტარენტის აღება და ბერძენთა ახალშენების გადმობირება. რომაელთა საქმე აქ მას შემდეგ გამოსწორდა, რაც კაპუა ხელახლა მათ ჩაუვარდათ ხელში. ბოლოს და ბოლოს ჰანიბალის ბედი იმ გარემოებამ გადაწყვიტა, რომ ისპანიიდან მის დასახმარებლად მომავალი მისი ძმა, ჰასდრუბალი, რომაელებმა დაამარცხეს. ისპანიიდან დაბრუნებულმა კორნელიუს სციპიონმა ბრძოლის ასპარეზი თვით აფრიკაში გადაიტანა და 202 წელს ზამასთან გადამწყვეტი ბრძოლა მოაწყო, რომელიც მისი სრული გამარჯვებით დასრულდა" (უზნაძე, 1920. 37).

მეორე პუნიკური ომი კართაგენის დამარცხებით დამთავრდა. გამარჯვებულმა რომმა მის მიერ ძლეულ კართაგენს ზავის მძიმე პირობები შესთავაზა. დაზავების თარიღი მითითებული არაა, რაც, შესაძლოა, იმით აიხსნება, რომ დასაწყისში მითითებულია მეორე პუნიკური ომის თარიღი ქრ-შმდე 218-201 წლები. ასეთ ნაბიჯს გააჩნია თავისი რეზონი, აზრი და აქ საკამათოს ვერაფერს ვხედავთ. "კართაგენი იძულებული გახდა რომისათვის ზავი ეთხოვა, რომელიც მისთვის დამღუპველ პირობებით შეიკრა: 1. კართაგენი სთმობდა რომის სასარგებლოდ მთელ, ისპანიას 2. 50 წლის განმავლობაში იხდიდა კონსტრიბუციას, 3. აძლევდა რომს მთელს სამხედრო ფლოტს, 4. კარგავდა უფლებას, რომის ნებადაურთველად ვისმესთვის ომი გამოეცხადებინა" (უზნაძე, 1920. 37). როგორც ვხედავთ, დიმიტრი უზნაძე საზავო მოლაპარაკებების პირობებზე კარგად არის ინფორმირებული და საკმაოდ ჩახედული უნდა ჩანდეს (წერეთელი, 1957. 170. ქავთარია, 1979. 141. ქავთარია, 2016. 239).

მეორე პუნიკურ ომზე საუბარი აქ შეიძლება დაგვესრულებინა თუ არა ერთი გარემოება, რომელიც ამ ომის ერთ-ერთი მთავარი გმირის, პუბლიუს კორნელიუს სციპიონის სახელთანაა დაკავშირებული. ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება ვცადოთ გამოვარკვიოთ, როგორი შეიძლება ყოფილიყო დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება სციპიონისადმი. ამ რაკურსით საკითხის გაშუქება საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. ერთი შეხედვით, ისე შეიძლება ჩანდეს, თითქოს ჰანიბალისადმი კეთილგანწყობილი დიმიტრი უზნაძე, სციპიონის მიმართ, რომელმაც სძლია ჰანიბალს, უარყოფითად შეიძლებოდა ყოფილიყო განწყობილი. ეს ზედაპირზე ძევს. სინამდვილე სულ სხვაგვარია. სკოლის სახელმძღვანელოს

ფორმატიდან გამომდინარე კატეგორიულად არაფერს არ ვამტკიცებთ, მაგრამ გვგონია, რომ მისი დამოკიდებულება კორნელიუს პუბლიუს სციპიონისადმი, დადებითი შეიძლება ყოფილიყო, რაც, ცხადია, შემთხვევითი არაა და ისტორიაში პიროვნების როლის გაცნობიერების ლოგიკური შედეგია. ეს ამ თემაზე მისი მსჯელობის კიდევ ერთი პლუსია. სციპიონის განდიდება ჯერ კიდევ ანტიკურმა ავტორებმა ჩაუყარეს საფუძველი. მათი ერთ-ერთი ტონის მიმცემად ცნობილი რომაელი ისტორიკოსი, ტატუს ლივიუსი გვევლინება (ტიტუს ლივიუსი, 1981 239-243, 334-336). ეს ტენდენცია ლაიტმოტივად გასდევს XIX-XX საუკუნის ევროპულ ისტორიოგრაფიას (Историография... 1981). ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ტატუს ლივიუსი ობიექტურობას იჩენს რომის მოსისხლე მტრის, ჰანიბალის შეფასების დროს და მასზე საკმაოდ მაღალი აზრის ჩანს. (ტიტუს ლივიუსი. თბ., 1981, 304-330. რ. გოგოლაშვილის, 1998. 196). აღსანიშნავია, რომ სციპიონს კართაგენზე გამარჯვების ნიშნად "აფრიკელი" შეარქვეს, რაზეც დიმიტრი უზნაძე რატომღაც კრინტს არ ძრავს: აქცენტი კეთდება ფაქტის კონსტატაციაზე. აქ კამათი პრინციპულ ხასიათს არ ატარებს და უფრო გემოვნების საკითხია. მას შეეძლო საკითხი ასეც გადაეწყვიტა და ისეც. მან ასე გადაწყვიტა და ამაში მიუღებელს ვერაფერს ვხედავთ. მან გადაწყვიტა, რომ ასე უფრო უმჯობესი იქნებოდა. ჩვენ კი გვგონია, რომ სხვაგვარად იქნებოდა უფრო კარგი. ალბათ, სასურველი იქნებოდა, ეს აღნიშნული ყოფილიყო. ამას თან ახლავს რაღაც რომანტიკული შარმი, რომელიც მოწაფეებისათვის, ალბათ, ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა.

ამით, ფაქტობრივად, მთავრდება ამ მონაკვეთის ერთი ნაწილი. მეორე პუნიკური ომი, ანუ ჰანიბალი როგორც მხედართმთავარი და იწყება მეორე ნაწილი, რომელიც შეეხება ჰანიბალის საქმიანობას მეორე პუნიკურ ომში დამარცხების შემდეგ და მისი ყურადღების ცენტრში დგას ჰანიბალი როგორც პოლიტიკოსი. ეს დაყოფა საინტერესოა. მოდით ახლა ამ საკითხს ცოტა სხვა რაკურსით შევხედოთ. ვფიქრობთ, ეს ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა. ჩვენ ვცადეთ ამ დაყოფაში ჰანიბალის ცხოვრების და მოღვაწეობის პერიოდიზაციაზე დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულებაზე მინიშნება ამოგვეკითხა. გამოვთქვამთ ფრთხილ ვარაუდს, რომ დიმიტრი უზნაძე ჰანიბალის ცხოვრებას და მოღვაწეობას პირობითად ორ პერიოდად შეიძლება ყოფდეს. მათ შორის წყალგამყოფად, მეორე პუნიკურ ომში განცდილი მარცხია. ჰანიბალი როგორც მხედართმთავარი, მეორე პუნიკური ომი და ჰანიბალი მეორე პუნიკურ ომში დამარცხების შემდეგ, როდესაც მთავარი აქცენტი კეთდება მის პოლიტიკურ საქმიანობაზე.

ზავის შემდეგ ჰანიბალის ცხოვრება და საქმიანობა მისი მოღვაწეობის დასკვნით აკორდად გვევლინება. რა თქმა უნდა, კართაგენი სულაც არ აპირებდა ბედს შერიგებოდა და გულხელდაკრე-

ფილი მჯდარიყო. კართაგენს და მის სახელოვან მთავარსარდალს რევანში სწყუროდათ. როგორ აპირებდნენ ისინი ამის გაკეთებას. ეს არ იქნებოდა ადვილი საქმე, "კართაგენი, როგორც დიდი სახელმწიფო აღარ არსებობდა. მეორე პუნიკურმა ომმა მას დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოების უფლებაც კი მოუსპო. დარჩა კიდევ ეგვიპტე, მაკედონია, სირია და საბერძნეთი. ამ უკანასკნელს დამოუკიდებელი არსებობის უფლება არ ჰქონია, იგი მხოლოდ იმდენად წარმოადგენდა საერთაშორისო დამოკიდებულებაში რაიმე ძალას, რამდენადაც დიდ სახელმწიფოებს, განსაკუთრებით კი მაკედონიას და რომის საწინააღმდეგოდ მიმართული ძალების ბაზისად იქცეოდა" (უზნაძე. 1920. 37-38).

რომის დიპლომატიის მთავარ ამოცანას, დამარცხებული კართაგენის და მისი სახელგანთქმული მხედართმთავრის, ჰანიბალის პოლიტიკური იზოლაცია წარმოადგენდა. "ამ სახელმწიფოთაგან პირველად მაკედონიას ხვდა წილად დიდ სახელმწიფოთა რიცხვიდან ამოშლილიყო. რომაელებმა სამხედრო მოქმედება დაიწყეს, 197 წელს თესალიაში (კინოსკეფალესთან) მაკედონიელები სასტიკად დამარცხდნენ. თანახმად საზავო ხელშეკრულებისა, იგინი (ე. ი. მაკედონელები _ მ.კ.) მთელ თავის სამხედრო ფლოტს რომს უთმობდნენ და რომის ნებადაურთველად ვინმესთან ომის დაწყებამდე უარს ამბობდნენ" (უზნაძე, 1920. 38). მაკედონიამ კართაგენის ბედი გაიზიარა. რომმა მაკედონიას ზავის უმძიმესი პირობები მოახვია.

ეულად დარჩენილი ბერძნები მოკავშირის ძიებას შეუდგნენ. "რომის კონსულმა ბერძნებს გამოუცხადა, რომ იგინი პოლიტიკურად თავისუფლები იყვნენ, მაგრამ საბერძნეთს დამოუკიდებელი ცხოვრების უნარი აღარ შესწევდა და ამიტომ ახალი ბატონის ძიებაში სირიის მეფეს ანტიოქოს დიდს მიმართეს. ამ უკანასკნელმა რომაელ-მაკედონელთა ომის დროს ხელსაყრელი პირობით ისარგებლა, მცირე აზიის ნაპირებზე მდებარე ადგილები დაიპყრო და შემდეგ ევროპის კონტინენტზეც გადავიდა (თრაკიაში). მიუხედავად რომაელთა მოთხოვნილებისა, მან საომარი მოქმედებები არ შეაჩერა. და დაუბრკოლებლივ ბრძოლა განაგრძო. ანტიოქოსი, რომაელთა ძველი მტრის, ჰანიბალის რჩევით ხელმძღვანელობდა, რომლის მიხედვითაც მაკედონიასა და საბერძნეთში აჯანყება უნდა მოწყობილიყო. შემდგომ იტალიას უნდა შესეოდნენ. ახალი პუნიური ომი უნდა დაეწყო და ამგვარად რომის ძლიერება გაესრისათ, მაგრამ ანტიოქოსს ამ დიდი გეგმის შესრულების ძალა არ შესწევდა. 189 წელს მაგნეზიუმთან (სმირნიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით) იგი ისე სასტიკად დამარცხდა, რომ იძულებული შეიქმნა, რომაელების საზავო პირობები მიეღო, რომლის მიხედვითაც ყველა დაპყრობილ ადგილზე უარს ამბობდა, რომაელთა სასარგებლოდ დიდ კონტრიბუციას იხდიდა და თავის სამხედრო ფლოტს სპობდა. ამ დღიდან დაწყებული, სირია დიდი სახელმწიფოთა სიიდან სულ ამოიშალა" (უზნაძე. 1920. 38-39).

როგორც ვხედავთ, დიმიტრი უზნაძე საკმაოდ ინფორმირებული უნდა ჩანდეს მეორე პუნიკური ომის შემდეგ საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილ ვითარებაზე და მასში ჩახედულებას ამჟღავნებს. ხაზს უსვამს, რომ რომის დიპლომატია ყოველნაირად ცდილობს კართაგენის პოლიტიკურ იზოლაციას და ამას წარმატებით ახორციელებდა. ჰანიბალის ცდა, მოეძებნა მოკავშირეები უნაყოფო აღმოჩნდა. ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოება. დიმიტრი უზნაძისათვის ფაქტობრივი გადაცდომები დამახასიათებელი არ გახლავთ და ამიტომ ეს ცოტა არ იყოს, გაგვიკვირდა და მოულოდნელად გვეჩვენა. საქმე ისაა, რომ მაგნეზიასთან და არა მაგნეზიუმთან, როგორც ამას დიმიტრი უზნაძე წერს, ბრძოლა მოხდა არა ქრ-შმდე 189 წელს, არამედ ერთი წლით ადრე, ქრ-შმდე 190 წელს.

დიმიტრი უზნაძე ძალზე ბევრს ლაპარაკობს და სავსებით სამართლიანადაც, ჰანიბალის სიძულვილზე რომისადმი. ეს გახლავთ მედლის ერთი მხარე, რომელიც სახელმძღვანელოში კარგადაა ნაჩვენები. მედალს გააჩნია მეორე მხარე. რომის მტრული დამოკიდებულება ჰანიბალისადმი სახელმძღვანელოში, ჩვენის აზრით, შედარებით უფრო სუსტად, მკრთალად შეიძლება იყოს გაშუქებული. აქ უფრო მეტი გამჭვირვალობა იქნებოდა სასურველი. მარტო ჰანიბალს კი არ სძულდა რომი, არამედ რომსაც გულზე არ ეხატებოდა კართაგენის მთავარსარდალი, რომელიც 15 წელი აოხრებდა რომს. სიძულვილი ორმხრივი იყო. ეს, ცხადია, ძალიან კარგად იცის დიმიტრი უზნაძემაც, მაგრამ სახელმძღვანელოში ის რატომღაც კრინტს არ ძრავს ამ მხარეზე. რით აიხსნება ასეთი გადაწყვეტილება, ძნელი სათქმელია. მრავლისმეტყველად მიგვაჩნია, რომ ის კრინტს არ ძრავს იმის თაობაზე, რომ ქრ-შმდე 195 წელს რომმა კართაგენში ელჩობა გააგზავნა და კატეგორიულად მოითხოვდა ჰანიბალის გადაცემა. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. ეს ამ ფაქტისადმი დიმიტრი უზნაძის მიდგომის კულმინაციად გვესახება.

ასე მივუახლოვდით ჰანიბალის გმირული ეპოპეის დასასრულს, მის აღსასრულს. ჰანიბალი, რომაელთა მოთხოვნით, იძულებული შეიქმნა, კართაგენი დაეტოვებინა. იგი ანტიოქოს სირიელთან წავიდა და რომის საწინააღმდეგოდ ახალ გეგმებს აწყობდა, ანტიოქის დამარცხების შემდეგ, რომაელებს რომ ხელში არ ჩავარდნოდა, თავი მოიკლა" (უზნაძე, 1920. 38). ეს მსჯელობა ზოგადი გვეჩვენება. ყურადღებას გავამახვილებთ ორ გარემოებაზე. ის არ აკონკრეტებს ჰანიბალის სიკვდილის მიზეზს. მოწაფეებისათვის ეს საინტერესო იქნებოდა. როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, მან საწამლავი მიიღო (წერეთელი, 1957. 184. ქავთარია, 1979. 160, Линдсен, 1962. 208). სასურველი იყო, სახელმძღვანელოში დასახელებული ყოფილიყო ჰანიბალის გარდაცვალების თარიღი. ამას შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა. ვარაუდობენ, რომ შესაძლოა, ეს მოხდა ქრ-შმდე 183 ან 182 წელს, მაგრამ დიმიტრი უზნაძე ამაზე დუმილს არჩევს.

***

მაშ ასე, ვფიქრობთ, ასეთი საინტერესო სურათი მივიღეთ. დიმიტრი უზნაძემ თავისი წვლილი შეიტანა და შეძლებისდაგვარად შეეცადა წინ წაეწია საქართველოში ჰანიბალის ცხოვრების და მოღვაწეობის სწავლება, შესწავლა, პოპულარიზაცია. საკითხისადმი მიდგომა არის მეცნიერული. აქცენტი კეთდება თავისუფალ აზროვნებაზე, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტულ მიდგომაზე, პლურალიზმზე, პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე. ამგვარი მიდგომა, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაა და 1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში არსებული დემოკრატიული გარემოს ექოდ გაისმის. ამ თემაზე დიმიტრი უზნაძის მსჯელობის მთავარ ღირსებად მიგვაჩნია: 1. დიმიტრი უზნაძე ჰანიბალის ბიოგრაფიაში საკმაოდ ჩახედულებას უნდა ამჟღავნებდეს და კარგად ჩანს ინფორმირებული, რაც, უპირველეს ყოვლისა, ემპირიული, ფაქტობრივი მასალის ცოდნით უნდა ყოფილიყო განპირობებული; 2. დიმიტრი უზნაძის მიერ ჰანიბალის მოღვაწეობის დადებითი შეფასება სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს და მისაღები ჩანს, რაც ისტორიაში პიროვნების როლის გაცნობიერების ლოგიკურ შედეგად გვევლინება.

როგორც ამ თემის გაშუქების პირველი მცდელობა, ბუნებრივია, ის უნაკლო ვერ იქნებოდა. ზოგიერთი საკითხის შემდგომი სრულყოფა, დახვეწა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იყოს. ასეთად მიგვაჩნია: კვინტუს ფაბიუს მაქსიმესთან დამოკიდებულება. სახელმძღვანელოს ფაქტობრივი მასალისაგან განტვირთვის საკითხში, დიმიტრი უზნაძის პოზიცია წინააღმდეგობრივად გვეჩვენება, გარკვეული უკმარისობის გრძნობა დაგვიტოვა და შესიტყვების სურვილი გაგვიჩინა. ის სულ სხვა უკიდურესობაში ხომ არ აღმოჩნდა? სახელმძღვანელოში გამოყენებული ტერმინოლოგია, ცხადია, დღეს უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა; ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს. გამორიცხულად არ მიგვაჩნია სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის შინაარსობრივად გამდიდრება. საქმე გვაქვს საქართველოში მეორე პუნიკური ომის და მისი მთავარი გმირის, ჰანიბალის მოღვაწეობის გაშუქების პირველ მცდელობასთან, რომელიც, როგორც ჩვენ გვგონია, წარმატებულად შეიძლება მივიჩნიოთ. მას, ჩვენ ღრმა რწმენით, ღირსება გაცილებით უფრო მეტი გააჩნია, ვიდრე ნაკლი. ამიტომ მისი შეუფასებლობა დღეს, ცხადია, მოძველებულია. ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიის განვლილი ეტაპია.

ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ საქართველოში ჰანიბალის ცხოვრების და მოღვაწეობის გაშუქების დროს სწორი, მეცნიერული გზით მიდიოდნენ, სწორ აქცენტებს სვამდნენ, სწორ არჩევანს აკეთებდნენ, რაც, პირველ ყოვლისა, ჰანიბალის მოღვაწეობის დადებით შეფასებას და ისტორიაში პიროვნების როლის გაცნობიერებასთან ასოცირდებოდა. დიდი ალბათობით,

ეს გზა გაგრძელდებოდა, მაგრამ უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, ეს ასე არ მოხდა, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ამ პრობლემით დაინტერესებამ სულ სხვა მიმართულება მიიღო და სულ სხვა ხასიათი შეიძინა, რომელიც თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინგადადგმულ ნაბიჯად, ძნელია მივიჩნიოთ. ეს იმით გამოიხატა, რომ ჰანიბალისადმი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ჩაანაცვლა, უფრო თავშეკავებამ, მიდგომამ, ხოლო ისტორიაში პიროვნების როლის გაცნობიერება, მისმა შეუფასებლობამ. ამიერიდან, ისტორიის მთავარ გმირად პიროვნება კი არა, ხალხი მოგვევლინა. ეს იყო სწორი გზიდან გადახვევა. აი, ასეთი იყო რეალობა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, ფართო საზოგადოების თვალსაწიერს მიღმა აღმოჩნდა. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა. ყველა სიკეთე საბჭოთა რეალობასთან როდი ასოცირდება.

დამოწმებანი

გოგოლაშვილი, 1998. გ. გოლაშვილი რ. ტიტუს ლივიუსი – წიგნში ბერძენი და რომაელი ისტორიკოსები.

კალანდაძე, 2016. კალანდაძე, მ. დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე და ნაპოლეონზე.

კალანდაძე, 2013. კალანდაძე, მ. დიმიტრი უზნაძე როგორც ისტორიკოსი _ ანალების, [1] 13.

კოვალიოვი, 1957. კოვალიოვის ძველი მსოფლიოს ისტორია.

კოროვინი, 1970. კოროვინი, ძველი მსოფლიოს ისტორია.

ტიტუს ლივიუსი, 1981 ომი ჰანიბალთან.

უზნაძე, 1920. უზნაძე დ. ძველი რომი.

ქავთარია, 1979. ქავთარია გ. ჰანიბალი.

ქავთარია, 2016. ქავთარია გ. რომის ისტორია.

ძველი. . . 1952. ძველი მსოფლიოს ისტორია. ა. მიშულიანის რედაქციით.

წერეთელი, 1957. წერეთელი ალ. ძველი რომი, ტომი პირველი,

Дельбрюк, 1936. Дельбрюк, Г. История военного искуства в рамках полттической истории, том 1.

Историография, 1982. Историография античной истории, под ред. проф. В. Кузимина.

Лондсеи 1962. Линдсеи, Ганибал.

Шлиффен, 1938. Шлиффен А. Канны.